RE: ,,კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“

con spa gov ge <con@spa.gov.ge>

ორშ 02.03.2020 11:43

ვის: Khabelashvilebi <Khabelashvilebi@mes.gov.ge>

მოგესალმებით,
სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განიხილა თქვენი 2020 წლის 2 მარტის მომართვა, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N446 დადგენილების დანართით განსაზღვრული ავეჯის აქსესუარების შესყიდვასთან (CPV-39200000) დაკავშირებით.
გაცნობებთ, რომ ვინაიდან თქვენთვის საჭირო შესყიდვის ობიექტ(ებ)ი, ამ ეტაპზე, არ წარმოადგენს კონსოლიდირებული ტენდერებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტ(ებ)ს, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არ არის წინააღმდეგი მომართვაში ნახსენები ობიექტ(ებ)ის შესყიდვა განახორციელოთ კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებს გარეთ თქვენი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.
გაითვალისწინეთ, რომ შესყიდვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მოთხოვნათა დაცვით.
პატივისცემით,

From: Khabelashvilebi [mailto:Khabelashvilebi@mes.gov.ge]
Sent: Monday, March 2, 2020 11:17 AM
To: con spa gov ge <con@spa.gov.ge>
Subject: ,,კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“

გამარჯობა,

როგორც ცნობილია, ,,კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №446დადგენილებით განისაზღვრა იმ საქონლისა დ ა მომსახურების ჩამონათვალი, რომელთა შესყდვის მიზნით მიზანშეწონილია გამოცხადდეს კონსოლ იდირებულიტენდერები. მათ შორისაა,
39200000- კლასიფიკატორის კოდითგანსაზღვრული ,,ავეჯის აქსესუარები “, რომლის შესასყიდად 2020 წლის საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით იგეგმება კონსოლიდირებუ ლი ტენდერების ჩატარება.

რამდენადაც ვიცით ამ დროისათვის აღნიშნულ მომსახურებაზე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია არ ფიქსირდება.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ სსიპ-შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლა მდებარეობს აჭარის მაღალმთიანეთში (შუახევის რაიონი). იგი ქ. ბათუმიდან დაშორებულია 73 კმ, ხოლო რაიონული ცენტრიდან 19 კმ-ით და მიეკუთვნება მცირეკონტინგენტიან სკოლათა რიცხვს.

საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო სკოლის ადმინისტრაციას მოუწოდებს ვირუსთან დაკავშირებით:

- სკოლა ყოველდღიურად დალაგდეს სველი წესით;
- საკლასო ოთახების, სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება

- ჩატარდეს შენობის გენერალური დასუფთავება როგორც სარეცხი, ასევე სადეზინფექციო საშუალებებით;
- ტუალეტები, ბუფეტი, სასადილო და სამედიცინო კაბინეტი დასუფთავდეს სადეზინფექციო საშუალებებით;
- სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობის დასუფთავება მოხდეს ყოველდღიურად. უნიტაზის დასაჯდომი ჩასარეცხი ავზის სახელურები და კარების სახელურები გაირიცხოს ცხელი წყლითა და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;

და სხვა იხ.მიბმულ ფაილებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 39200000- კლასიფიკატორის კოდით განსაზღვრული ,,ავეჯის აქსესუარები“-ში, შედის ბევრი სადეზინფექციო საშუალებები რომლიც არის სასწრაფოდ საჭირო და ბაზრის კვლევის დროს არ იძლევა.

გთხოვთ მოგვცეთ რეკომენდაცია, რომელიც დაგვეხმარება მიმდინარე ეტაპზე ვისარგებლოთ აღნიშნული მომსახურებით, დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ- შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლა.

შესყიდვის ობიექტის ღირებულება: 2020 წლის გეგმაში გვაქვს განსაზღვრული 1200 ლარი

ს/კ

ს/კ 247861595

პატივისცემით,

ამირან ბერიძე
სსიპ-შუახევის მუნიციპალიტეტის
სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლის დირექტორი